

ქართული მწიგნობრობა

თვლათ ჭიშკარ



*ხუროთმოძღვრების მინისტრის
XIX ს.

1910 წ.*

„ნაკადული“
თბილისი
2004

ქართული მწიგნობრობა

ჭიშკარი თვლათ



იონა მეყნარეია
ალექსანდრე სუმბათაშვილი-
იყუინი
მემედ აწაშიძე



„ნაკადული“
თბილისი
2004

I

საქართველოს ბედს მთელი მისი ლეგენდარული თუ დოკუმენტური ისტორიის მანძილზე რომ ჩავუკვირდეთ, მძიმე, მაგრამ სიამაყით აღსავსე შთაბეჭდილება დაგვრჩება. სტატიის ზომა მაიძულებს პუნქტირით მოვხაზო მისგან განვლილი გზა ორი ათასზე მეტ წლის განმავლობაში, მაგრამ ეს პუნქტირი – თითქმის მთლიანად სისხლის ფერისა – დაგვანახებს, რომ ყოველი შედარებით მშვიდობიანი პერიოდის მოსაპოვებლად საქართველოს ასწლიანი ომების გადახდა უნდებოდა.

მაკმადიანური შემოტევებისაგან ევროპის დასაცავად რუსეთის მიერ გაღებულ წვლილზე რომ ლაპარაკობს, ვ. ო. კლუჩევსკი წერს: „დარაჯის სამსახურს ყველგან უმადურობა სდევს თან და მალეც მიავიწყდებათ ხოლმე, განსაკუთრებით – თუ იგი წესიერად სრულდება, რადგან, რაც უფრო ფხიზელია დაცვა, მით უფრო არხეინად სძინავთ დაცულებს და მით უფრო ნაკლებად ანალვლებთ მსხვერპლნი, მათ სიმშვიდეს რომ ეწირებიან.“ დიდი ისტორიკოსის ამ სიტყვებს, თუ საქართველოს მივუყვებით, საზარელი წინასწარმეტყველების ხმას გავიგონებთ.

მართლაც, პომპეუსისა და მითრიდატე პონტოელთან მისი ბრძოლის დროიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე დარაჯის ტვირთით დამძიმებული, დაჭრილ-დაჩენილი და სისხლში ამოსვრილი საქართველო დაცვით სამსახურს ეწეოდა იმ საწყისებისათვის ბრძოლაში, რომლებიც სანუკვარი იყო მსოფლიო კულტურის ამა თუ იმ საფეხურზე მოცემულ ისტორიულ ეპოქებში. თუ შევეცდებით ოდნავ მაინც მიუკერძოებლები ვიყოთ, საქართველოს ოცსაუკუნოვან ისტორიაზე თვალის ერთი გადავლებითაც კი დავინახავთ, რომ ამ ერთი ციკქნა ხალხს, რომელზეც ისტორია მოწყალე შემწყნარე-

¹ ნაწარმოების თარგმნა და ამ ტომში დაბეჭდვა შემოგვთავაზა ლიტერატურის ინსტიტუტის ახალი ლიტერატურის განყოფილების გამგემ ბატონმა გიორგი აბაშიძემ. ნაწარმოების სათაურის მთარგმნელისეული ვარიანტია „მელაპრის უბეში“ (რედ.).

ბლობის სიმაღლიდან მსჯელობს, შეეძლო ყოველთვის, ყოველ ბრძოლაში, ისტორიულად რომ თავს დაატყდებოდა ხოლმე, რალაცნაირი ინტიუციური გზით სწორედ იმ მხარეს დამდგარიყო, რომელიც თავისი ეპოქის უმაღლეს კულტურულ მონაპოვარს იცავდა: იგი იყო რომის კულტურასთან პომპეუს დიდის ეპოქაში, როცა მისი უახლოესი და – ამდენად უსაშიშროესიც – მეზობელი პონტოელი მფლობელი იყო; ქრისტიანულ კულტურასთან, როცა მას ჯერ ცეცხლთაყვანისმცემელთა, შემდეგ კი ქვეყნიერების ყველა მხრიდან, კასპიისა და შავი ზღვებიდან, შიიტური სპარსეთიდან თუ სუნიტური თურქეთიდან წამოსული ძლიერი ისლამის ტალღები აწვებოდა. ყოველგვარი პოლიტიკური ანგარიში თუ ვარაუდი, ყოველგვარი ფიქრი თავის უსაფრთხოებაზე ფერმკრთალდებოდა არც მთლად ბოლომდე გაცნობიერებული, მაგრამ ხალხის სულში ღრმად ფესვგადგმული მოვალეობის შინაგან გრძობასთან, რომელიც მას ძალადობით გათელილი სიმაართლის დასაცავად მოუწოდებდა.

დადგა XIX საუკუნე. საქართველო თავისი ნებით, იოლად შეუერთდა რუსეთს, რომელთან უშუალო მეზობლობასაც ისლამური რწმენის ტომებით დასახლებული კავკასიის მთები უშლიდა ხელს. ამ მეომარი და ბრძოლისუნარიანი ტომების დასამორჩილებლად მაშინდელ ძღვევამოსილ რუსულ სამხედრო ძალას, ეს-ესაა მოსკოვიდან პარიზამდე რომ ილაშქრა და მთელ ევროპას თავისი ნება მოახვია თავს, მაინც 60 წელზე მეტი დასჭირდა. ჯვრისთვის, როგორც უმაღლესი სიმბოლოსთვის, ბრძოლის ჩვევა ქართველ ხალხს მსოფლიო პროგრესს, მის ადვალურ ამოცანებსა და მიზნებს აზიარებდა, მაგრამ ავიწყებდა: ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი მას ავანგარდად ზდიდა თავისი ახალი მფარველის საბრძოლო შეტაკებებში თურქეთთან და სპარსეთთან, სულ ახლახან მის სამშობლოს რომ აოხრებდნენ.

ვადრე საქართველო მარტოდმარტო თუ რუსეთთან ერთად ისლამს ებრძოდა, ე. ი. XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, არც ერთი ისტორიული ძეგლი, არც ერთი გადმოცემა, თუ თანამედროვეთა მოგონება არ მიუთითებს ქართველებსა და სომხებს შორის სხვაობასა და უთანხმოებაზე, სწორედ გასული საუკუნის უკანასკნელ ორ ათწლეულში რომ გაიზარდა და დიდ განხეთქილებამდეც მივიდა. ეს გასაგებიცაა: ვიდრე საქართველოს ისტორიული ცხოვრება

მოცული იყო ერთი მიზნით – დაეცვა კულტურის წმინდა რელიგიური სიმბოლო, ე. ი. ქრისტიანობა, მანამდე ასევე ქრისტიანი სომეხი ხალხი, საქართველოს ყველა ფენაში შერეული, ძირეულ ქართველებთან მხოლოდ მჭიდრო ერთობლიობაში მოიაზრებოდა. 50 წლის ასაკს გადაცილებული ხალხი დაგვიმოწმებს, რომ წარჩინებული, ასევე გლეხური ქართული და სომხური ოჯახები ერთ-თავად უნათესავდებოდნენ ერთმანეთს, და რომ 80-იან წლებამდე ქართველებსა და სომხებს შორის შუღლის ხსენებაც არ ყოფილა ამიერკავკასიაში. ჩემთვისაც, ამ ასაკის ერთ-ერთი წარმომადგენლისათვის, სწორედ 80-იანი წლების დასაწყისში რომ შევდგი ფეხი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებისაგან განსხვავებულ, უცხო და შორეულ სამყაროში, სრულიად მოულოდნელი და დიდხანს გაუგებარიც იყო ქართველებისა და სომხების ურთიერთდამოკიდებულებაში მომხდარი ის ფერითი ცვლილება, 80-90-იანმა წლებმა რომ მოიტანა. უდავოდ, შუღლი ქართველ და სომეხ ხალხებს შორის აღმოცენდა არა ნაციონალურ, არამედ წმინდა ეკონომიკურ ნიადაგზე, როგორც კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა. ამით აიხსნება მისი გამწვავება ბოლო 40 წლის განმავლობაში, როცა მთელ ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელდა სოციალისტური მოძღვრება: ეს დამთხვევა ნიშანდობლივია და მთლიანად ხსნის მოულოდნელად გაჩაღებული მტრობის სიმძაფრეს. მთავარი კი ის არის, რომ ქართულ-სომხური შუღლი, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოს ცხოვრებაში, ისეთსავე ღრმა კვალს დაამჩნევს ჩვენი სამშობლოს უახლოეს და მტკივნეულ მომავალს, როგორც უახლოეს წარსულს დაამჩნია.

საქართველოს ბრძოლა კულტურისათვის XIX საუკუნის ბოლო მესამედში, უთუოდ, არაა რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათისა, საქართველო მჭიდრო ურთიერთობას აყალიბებს ევროპულ სამყაროსთან და იქ პოულობს ახალ საბრძოლო ლოზუნგსაც – ესაა ყველა გვარისა და სახეობის სოციალიზმი. სამოციანი და სამოცდაათიანი წლები აღინიშნება ქართველი ახალგაზრდობის იშვიათი მიზნდევებით შვეიცარიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში. სოციალისტური მოძღვრებანი მასობრივად იჭრება ქართველი ინტელიგენციის შეგნებაში, თითქმის მთლიანად იპყრობს მას, შეადწმენს ხალხის წიაღში და არაჩვეულებრივი სისწრაფით ვრცელდება, ერთი მხრივ,

ქართული ბუნებისათვის დამახასიათებელი ამოვისებლობისა, ხოლო, მეორე მხრივ, ხალხის მასებისა და ინტელიგენციის მჭიდრო სიახლოვის წყალობით. ჩვენი სტუდენტები და ემიგრანტები, სამშობლოში დაბრუნებულნი, „ხალხში“ კი არ „გადიოდნენ“, როგორც მათი რუსი ამხანაგები, არამედ ჩვეულებრივ ერწყმოდნენ ხალხს, ისევე ბუნებრივად და უბრალოდ, როგორი უბრალო და ბუნებრივიც იყო ყოველთვის ყველა ურთიერთობა ქართველ „პრივილეგიურ“ და „არაპრივილეგიურ“ კლასებს შორის. სუკუნებრივმა პატრიარქალურმა წყობამ, როგორი ზიზლითაც უნდა უყურებდნენ მას, ხალხის ისტორიულ საბრძოლო წარსულთან ერთად ხალხის მასების ისეთი ახლოდღური და ურღვევი კავშირი ჩამოაყალიბა თავის ბელადებთან და მათ შვილებთან, რომ იგი ვერ შეანელებს ვერც სპარსეთისა და თურქეთის მონათმფლობელურმა ნორმებმა, ვერც რუსეთის ხელისუფლების მიერ შემოტანილმა თუ დაკანონებულმა საკუთრივ ქართული ყაიდის წოდებრივმა ზღუდეებმა. ამდენად, ქართულ წოდებათა შორის შეიძლება იყოს დროებითი შეჯახებანი მატერიალური ურთიერთდამოკიდებულების ნიადაგზე, მაგრამ არასდროს გაჩნდება ისეთი ღრმა უფსკრული, როგორიც, ვაი რომ, აღმოჩნდა რუსულ, განსაკუთრებით, ველიკორუსულ ინტელიგენციასა და ხალხს შორის ჩვენი ტანჯულ დღეებში...

სოციალისტური იდეების მოზღვაება საქართველოში უფრო სხვა პირობებში მოხდა, ვიდრე რუსეთში. ამ მოზღვაებას რუსეთში წინ უძღოდა ნახევარსაუკუნოვანი პოლიტიკური ბრძოლა ფრანგული რევოლუციის პრინციპებისათვის. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები, აზრისა და პიროვნების თავისუფლება – ეს ცნებები, უცხონი რუსული ცხოვრებისათვის, ინგლისის მიერ მე-17, ამერიკის მიერ მე-18 საუკუნეებში განხორციელებული, ხოლო საფრანგეთის მიერ მკაფიოდ ფორმულირებული და ნაპოლეონის ჯარების ხიშტებით კრემლამდე მოტანილი – უკვე დიდი ხანია, უხსოვარი დროიდან, ცოცხლობდა ჩვენი ხალხის სულში, ვლინდებოდა ორიგინალურ და, რა თქმა უნდა, ხშირად ბუნდოვან, ჩამოუყალიბებელ ფორმებში მთელი მისი ისტორიის მანძილზე. შესაძლოა, მართლა არ იყო საქართველოს წარსულ ცხოვრებაში, გარდასულ დროთა კანონებსა და უფლებებში ამ საწყისების გამოსახატავი ზუსტი ფორმები და ფორმულები და მართლა ფეხქვეშ ითვლებოდა უფლე-

ბებიც, თავისუფლებაც, პიროვნებაც ხან თემურ-ლენგის, ხან ხოსროს, ხან სელიმის, ხან დონდუკოვ-კორსაკოვის, ხანაც სამხრეთისა თუ აღმოსავლეთის ბანდების და ჩრდილოელ ჩინოვნიკთა მიერ, მაინც კაცობრიობის ამ ურყევ სიწმინდეთა შესახებ ცოცხალი წარმოდგენა გზას იკაფავს სქელ და ბნელ ღრუბლებში, გამუდმებით, მრავალსახოვნად და საფუძვლიანად მსჭვალავს საქართველოს ყოფაცხოვრების წესს და, როგორც ქვემოთ დავინახავთ ამ მოკლე მიმოხილვითი ნარკვევიდან, სახეს უცვლის და არბილებს წარსულ ღრთა წოდებრივ, რელიგიურ და ოჯახურ ნორმებს, ევროპული აზროვნების ევოლუციური და რევოლუციური ბრძოლით ასე დარღვეულთ XVIII და XIX საუკუნეებში. ამიტომ სუსტი მცდელობა – საქართველოში გასული საუკუნის ბოლო მესამედამდე დასაბამი მიეცათ პოლიტიკური პროტესტისათვის, რითაც რუსეთი აღექვსანდრე II-ის რეფორმების ეპოქამდე ცხოვრობდა, იმთავითვე ზედმეტი იყო, რადგან თავისუფლებაზე ფართო წარმოდგენა ჩვენი ერის თანდაყოლილი, 20 საუკუნით განმტკიცებული თვისება იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, არ იყო ჩამოყალიბებული დასავლეთის პოლიტიკური მიღწევებისათვის დამახასიათებელ რაფინირებულ ფორმებში. გარდა ამისა, ქართველის ლოიალურ ბუნებას რა პოლიტიკური პროტესტი უნდა გასჩენოდა იმ ქვეყნის საწინააღმდეგოდ, რომელმაც სულ ახლახან, 1795 წელს, მამედ-ხანის [ილა-მაჰმად ხანის] დალაშქრის შემდეგ, როცა თბილისი თითქმის დაქცეული, საქართველო დაცარიელებული, ნახევარი ქართველობა გაწყვეტილი იყო, მის სამშობლოს დახმარების ხელი გამოუწოდა და ფეხზე წამოაყენა? იმ ქვეყნის საწინააღმდეგოდ, რომელიც ეშველებოდა ბრძოლაში მტრულად განწყობილ მთიელებთან, თავისი თარეშით მტკვრისა და ალაზნის ველებს რომ იკლებდნენ ხოლმე? ხოლო პირად ღირსებას, პიროვნების სულეიერი შეუზღუდაობის უფლებას ქართველი ყოველთვის შეუდრეკლად იცავდა, არავითარ საფრთხეს არ ებუებოდა, იცავდა, სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდა, იცავს დღესაც და კვლავაც დაიცავს; გვჯერა, ასე იქნება მარადის – უკუნითი უკუნისამდე. საქართველოში წოდებათა შორის ზღვარი, თვით ბატონყმური ურთიერთობანი არ ვლინდებოდა ადამიანის ღირსების ისეთი დამამცირებელი ფორმით, როგორც რუსეთში იყო; რასაკვირველია, ეს ურთიერთობანი რამდენადმე

ინარჩუნებდა თავის უარყოფით ხასიათს, მაგრამ შერბილებული იყო მსახურისა და ასევე ბატონის პირადი თვისებებით და სულიერი სიახლოვით. სიტყვა „როზგი“ („Розга“) ქართულ ენაში არ არსებობდა, რადგან არ არსებობდა როზგით შესრულებული ქმედება, ვიდრე იგი არ შემოიღეს, როგორც ჩინოვნიკური მართლმსაჯულების აქტი. ქართულ ენაში არც სიტყვა „КНУТ“ – ია; რაც შეეხება მხედრის შოლტს – მათრახს, თუკი იგი ხელქვეითის ზურგს იშვიათად, მაგრამ მაინც მოხვდებოდა, არასოდეს იყო ისეთი დამამცირებელი, როგორც შიშველის გაროზგვაა, უფრო კულტურული წეს-ჩვეულებით რომ დაინერგა.

ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი, წვრილმანი, მაგრამ დამახასიათებელი ყოფითი და ისტორიული მაგალითები და შტრიხები ხსნის იმ შედარებით გულგრილობას, საქართველომ რუსული საზოგადოების პოლიტიკური ბრძოლის მიმართ რომ გამოიჩინა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა იგი (რუსული საზოგადოება) ფრანგული რევოლუციის მიერ შემუშავებული მართლშეგნების პოლიტიკური საწყისების დასაცავად და რუსეთში გასაერცვლებლად ხელისუფლებას უპირისპირდებოდა. შესაძლოა თამამი მოგეგნოთ ეს განცხადება, მაგრამ საქართველოს წარსულის უფრო ღრმა და ავტორიტეტული მკვლევარი ჩემზე უკეთ და უფრო დასაბუთებულად, ვიდრე მე ამ შეკუმშულ და კონსპექტურ სტატიაში, უცილობლად დაამტკიცებდა, რომ, რაც დიდი ფრანგული რევოლუციის გამარჯვების დროშებზე გამოფენილი და ახალ მონაპოვრად მიჩნეული იდეა და ლოზუნგი იყო, მ რ ა ვ ა ლ ი მ ა თ გ ა ნ ი უკვე საუკუნეობით საფუძვლად ედო ქართულ მსოფლმხედველობას და სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულების ცხოვრებისეულ სტიმულს წარმოადგენდა. მაგალითად, ქართველი ხალხის მრავალ თაობათა სისხლით აღბეჭდილი ღვთისმოსაობა და ჯვრისმოსაგრეობა ხელს არ უშლიდა ფართო რელიგიურ შემწყნარებლობას: საქართველოში არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა, ისინი თავისუფლად ცხოვრობენ ქართულ სოფლებში და ყველგან მთელ საქართველოში. ქართულში არ არის სიტყვა „ЖИД“, ამ ერის ერთადერთი სახელწოდებაა „ებრაელი“, რომელსაც დამცირების ოდნავი ელფერიც კი არ დაჰკრავს.¹ საქართველოში არასოდეს ჰქო-

1. „ებრაელის“ ძველმა ბიბლიურმა სახელწოდებამ – „ურია“ – მოგვიანო ხანებში მიიღო შეურაცხყოფელი ელფერი და „ЖИД“-ის ადეკვატური გახდა.

მკვლევარი

ნია ადგილი გაბატონებული – მართლმადიდებლური – ეკლესიის ბრძოლას სხვა ქრისტიანულ სარწმუნოებასა თუ სექტასთან: ასე მაგალითად, თბილისიდან შვიდ ვერსზე, თელეთში მდებარე წმ. გიორგის სახელობის სომხურ-გრიგორიანულ მონასტერს მართლმადიდებელი ქართველები ადრეც და ახლაც ისეთსავე პატივს მიაგებენ, როგორც თავის სალოცავებს; მის საეკლესიო დღესასწაულზე, მთელ საქართველოში „თელეთობას“ რომ უწოდებენ და ამალღების დღესაა, ერთნაირი რაოდენობით იკრიბებიან ქართველი და სომეხი მლოცველები. მთელი თავისი ყოფიერების მანძილზე საქართველოში, სადაც ჭეშმარიტად, არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ საქმიანად სწამდათ ქრისტი, შესაბამისად – საქართველოს ისტორიასა და თქმულებებში – ინკვიზიციური სასამართლოებისა და რელიგიურ სინდისზე ზეწოლის ხსენებაც არ ყოფილა; ებრძოდა ისლამს, იცავდა ქრისტეს ჯვარს, მაგრამ პატივს სცემდა და არასოდეს ანგრევდა მეჩეთებს, არასოდეს წაუბილწავს ისინი.

ალაღბელზე და განზრახ უსისტიემოდ აქა-იქ კიდევ გამოგვრებ რამდენიმე უფრო დამახასიათებელ ფაქტს საქართველოს წარსული სულიერი და მატერიალური ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროდან, რომ სწორედ სრულიად განსხვავებული სფეროებიდან ამოღებულ ფაქტთა მრავალფეროვნებით დამტკიცდეს წამოყენებული დებულების სისწორე.

მონტესკიეს „კანონთა სული“ ამ სახელმწიფოში, სპარსეთისა და თურქეთის მუდმივი მუქარისა და ზეგავლენის ქვეშ რომ ცხოვრობდა და, ყოველ შემთხვევაში, არა „კანონთა სულის“ მიღვნებით, ქართულად თარგმნა არა ვინმე სხვამ, არამედ ქართული სამეფო ოჯახის წევრმა.¹ ყმებს უფლება ჰქონდათ, ეყიდათ უძრავი ქონება, კანონიერი აქტებით დაემტკიცებინათ იგი თავის და არა მემამულის სახელზე, როგორც რუსეთში იყო მიღებული, და განეგოთ თავისუფლად. ხიზნებს, ე. ი. თავისუფალ გლეხებს, მემამულეებისაგან გარკვეული პირობებით რომ ჰქონდათ მიწები აღებულო, ვერავითარი მთავრობა და ხელისუფლება ამ მიწიდან ვერ აყრიდა. საქართველოში არასოდეს ყოფილა არც სასულიერო და სახელმწიფო ცენზურა, არც კოცონები აუგიზგიზებით წიგნებისა

1. დავით ბატონიშვილი.

და მათი ავტორებისათვის. კანონით არ იზღუდებოდა სხვის ქვეშევრდომად გახდომისა და სხვის სამსახურში გადასვლის უფლება, მას მხოლოდ სინდისისა და სამშობლოსადმი სიყვარულის კანონი ზღუდავდა. და რომ საფრანგეთის რევოლუცია საქართველოში მომდარაყო XIX საუკუნის დასაწყისამდე, ამომრჩეველებს თავანთ cahiers-ში¹ არ მოუწევდათ, მოეხსენებინათ ყბადაღებული droit de colombier² ანდა მოეთხოვათ გლეხთა ვალდებულების – თავისი პური სენიორის საცხოვში გამოეცხოთ – გაუქმება. ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მაგრამ დამახასიათებელი თავისებურებანი, სრულიად რომ ცვლიან ფეოდალური წყობის არსს, შეიძლება ასობით მოვიტანოთ; მაგრამ აქ მოტანილიც საკმარისია.

აი, როგორი ნაწამებ-გაწეწილი საქართველო შეუერთდა რუსეთს თავისუფალი შერწყმის უფლებით; მაგრამ მაშინვე, დაუყოვნებლივ დაიწყო მისი მოქცევა საერთო იმპერიულ არტანებში – არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ადგილობრივ პირობებს, წარსულს, ყოფას, რწმენას, მსოფლმხედველობას, ენას, ნაციონალურ გრძობას. ამასთანავე, რეფორმამდელი ჩინოვნიკობის მრავალშოლტიანი მითრახის, მთელი რუსეთი მის ქვეშ რომ გმინავდა, ყველაზე უხამსი შოლტები უმრავლეს შემთხვევაში საქართველოსკენ იყო მიმართული. ამ სტრიქონების დამწერი ჯერ კიდევ ყმაწვილობისას სასამართლოში, გიმნაზიასა და ადმინისტრაციაში ისეთ ტიპებსა და სახეებს გადავწყვდომივარ, – არ ვაჭარბებ – მოლჩალინებისა და სკვოზნიაკ-დმუხანოვსკების, ვარავინებისა და ტარელკინების, შჩედრინის გმირების კ ა რ ი კ ა ტ უ რ ე ბ ს რომ წარმოადგენდნენ. მე ვცხოვრობდი ისეთ ოჯახში, ახლო ურთიერთობა რომ ჰქონდა საქართველოსა და რუსეთის 50-იანი და 60-იანი წლების მოწინავე ადამიანებთან და საკუთარი თვალით, ცხადად, არა ვაზეთის სტატიებისა და ლიტერატურული მხილების მეშვეობით, ვაკვირდებოდი ამ კარიკატურებს, საქართველოს სამწუხაროდ და რუსეთის სამარცხვინოდ კანონიერება და სამართალი რომ შემოჰქონდათ, მათი უგანათლებლესი აზრით, „ველურ“ ქვეყანაში... ამ ამბების დაწვრილებით გახსენების ადგილი აქ არ არის, მაგრამ არც

1. cahiers (ფრანგ.) – უწყისები.
2. droit de colombier (ფრანგ.) – სამტრედის უფლება.

გაჩუმება და წაყრუება შეიძლება ახლა, როცა საქართველო თავისი ახალი არსებობის ზღურბლთან დგას. ბნელი უმადურობა იქნებოდა, არ გველიარებინა რუსეთის კულტურული ზეგავლენაც საქართველოს ცხოვრებაზე, მაგრამ დიდი სიცრუე იქნებოდა, თუ ვინმე მოპყვებოდა მტკიცებას, თითქოს ეს კულტურული ზეგავლენა პარალიზებული არ ყოფილიყოს იმავე „ბნელი უმართლობის“ პირობებით, მთელ რეფორმამდელ რუსეთს რომ ტანჯავდა, და ასევე – თითქოს 1801 წლის აქტი გულწრფელად და ზუსტად შესრულებულიყოს ძლიერი კონტრაგენტის მხრიდან.

ამრიგად, რუსულ საზოგადოებასა და ლიტერატურაში XIX საუკუნის დასაწყისიდან სულ უფრო და უფრო მომძლავრებული პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში იწვევდა მხოლოდ პასიურ თანაგრძნობას, რაც თბილ და გულთბილ დამოკიდებულებაში ვლინდებოდა შერისხული და განდევნილი რუსებისადმი, დაწყებული გრიბოდოვითა და ლერმონტოვით, დამთავრებული მალაკნებითა და ღუბოზორებით. თავად მოძრაობა თითქმის არ იზიდავდა ქართველი ახალგაზრდობიდან და ინტელექტუალური ძალებიდან მოსულ აქტიურ მოღვაწეებს. ამ მოვლენის განხილული მიზეზები რომ შევაჯამოთ და მოკლედ ჩამოვაყალიბოთ, შეიძლება ასეთ დასკვნამდე მივიდეთ – იგი გამოწვეული იყო:

1) რუსეთისადმი ბუნებრივი ლოიალურობის გრძნობით, რაც ქართველებს აიძულებდა, თავის ღირსებასთან შეუთავსებლად მიენიანათ ანტისახელმწიფოებრივი ობოზიციისთვის მხარდაჭერა და იმ ქვეყნის წინააღმდეგ გამოსვლა, რომელმაც სულ ახლახან, დამარცხების მძიმე წუთებში, დახმარების ხელი გამოუწოდა; 2) თავისი შინაგანი სულიერი თავისუფლების მაღალგანვითარებული შეგნებითა და იმ შეგრძნებით, რომ შესწევს ძალა, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დაიცვას ეს თავისუფლება; 3) რუსული გამათავისუფლებელი აზრის ცენტრებისაგან საქართველოს იზოლირებით, რომელშიც იგი (საქართველო) სივრცობრივი დაშორებისა და ბიუროკრატიული ბჭეების გამო 70-იან წლებამდე იმყოფებოდა; და ბოლოს, 4) თუნდაც ხანმოკლე დასვენების ბუნებრივი მოთხოვნილებით იმ საუკუნოვანი საშინელებებისა და დარბევებისაგან, რაც საქართველომ ეს-ესაა გადაიტანა. ისიც არ უნდა დაგავიწყდეს,

რომ აბსოლუტიზმის ბორკილთა მსხვერვის ხმა, ევროპაში ატეხილი ჭექა-ქუხილის სუსტი ექო ძლივს აღწევდა საქართველომდე ნიკოლოზის რუსეთის, თურქეთის დესპოტიის და თვალუწვდენელი სივრცის გამოვლით – რუსული ობოზიციური აზრის ცენტრებთან კავშირს მხოლოდ ფოსტის ცხენებით თუ დაამყარებდი, ისიც მაშინ, შემთხვევით ბედი თუ გაგიღივებდა და თუკი ცენზურისა და ჟანდარმერიის სქელ, ყოველგვარი ხმის ჩამხშობ ბალიშებს გააღწევდი. დასასრულ, საქართველოს დარბეულმა და განახევრებულმა მოსახლეობამ ვერ მოასწრო, 60-იან წლებამდე თავისი ახალგაზრდული ძალებიდან გამოეყო ახალი კადრები, ყოველთვის რევოლუციური მოძრაობის მთავარ არმიებს რომ შეადგენდა.

II

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან სურათი იცვლება. სტატიის ზომის გამო კვლავ პუნქტირით წარმოვადგენ იმ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეცვალეს რუსეთისა და საქართველოს პირველი პერიოდის ურთიერთობანი – ასევე პუნქტირით აღწერილი ჩემ მიერ. საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურა დიდი და მდიდარია, მაგრამ მის დასამუშავებლად მკვეთრად ჩამოყალიბებული გეგმა რომ შედგეს და საკითხი მიუკერძოებლად და ყოველმხრივ გაშუქდეს, ნამდვილად იშვიათი ტალანტია საჭირო. საკითხის განხილვა კი აუცილებელია და საინტერესოა არა მარტო მეცნიერული, არამედ კიდევ უფრო მეტად ყოფითი თვალსაზრისით. თვალს ვერ დავხუჭავთ იმაზე, რომ 117 წლის მანძილზე ეს ორი ქვეყანა ცხოველი, სისხლსავეს არტერიებით გადაება ერთმანეთს და მათი გადაჭრა გამოიწვევს არა ერთი მათგანის, არამედ ორივე, ასე დიდხანს ერთიანი ცხოვრებით მცხოვრები ქვეყნის ორგანიზმთა გამოფიტვას; რომ ომები და რევოლუციები ვერ შეამცირებს და ვერც გაზრდის მანძილს მტკვრიდან მოსკოვამდე ანდა დნებრამდე და მომიჯნავე მეზობლებსაც ვერასოდეს გაზღის ერთმანეთისათვის უცხოხოსა და შორეულს; და რომ, ბოლოს, ახლო მომავალი მოითხოვს ასევე ახლო წარსული ცხოვრების პირობების მკაფიო გააზრებას, მისი ცოდნისა და ანალიზის გარეშე ყოველი ახალი ფორმა წარმოვიდგება ისეთ ფანტასტიკურ ქმნილებად, რომელსაც ცხოვრე-

ბისეული ძალა და რეალური მნიშვნელობა არ ექნება. აი, რატომ გადავწყვიტე, ვიდრე ასეთი შრომა გამოჩნდება, ხელი მომეკიდა ამ სამუშაოსთვის და მეცადა, ძალიან შეკუმშულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ზოგად კონტურებში წარმოეჩინა ეს საკითხი. დაე, მრისხანე ჟამმა, როდესაც ამის კეთება მიწევს, გამამართლოს ჩემი სტატიის კრიტიკოსთა თვალში.

XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის საქართველოს ცხოვრება სამ უმთავრეს ვითარებამდე მივიდა; ყოველ მათგანს კი გარკვეული შედეგები მოჰყვა. განვიხილოთ ეს ვითარებანი ცალ-ცალკე და ვუჩვენოთ, როგორ უპასუხა მათ საქართველომ.

1. ისლამთან, ქართული ბუნებისა და სულისათვის უცხო ძალასთან მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით დაღლილმა, გამოფიტულმა და ბოლოს ამ ბრძოლისაგან თავდახსნილმა, სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ევროპულ – მართალია, განათლებული აბსოლუტიზმის ყველაზე უფრო არქაულ – ფორმას ნაზიარებმა და მისი წყალობით ევროპულ, ოღონდ რუსულ ბიუროკრატიულ საცერში გაცრილ, აზრთან მიახლოებულმა საქართველომ, რომელმაც მიიღო არა მთლად სრულყოფილი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სამართლებრივ-უფლებრივი დაცვისა და უმაღლესი განათლების არა თურქულ-სპარსული წესები, დაინახა: რომ ეს უდავო წყალობანი მას ეძლევა ნაციონალური სახის თანდათანობითი დაკარგვის ფასად; რომ მისი ენა, ეკლესია, ზნე-ჩვეულებანი და მსოფლმხედველობა, მთელი სულიერი საგანძური, რისთვისაც იბრძოდა ოცი საუკუნე და რისი დაცვა და შენარჩუნება ტანჯვითა და სისხლით შეძლო, მარჯვე და გამოცდილი ხელით ნელ-ნელა, მაგრამ აშკარად ნადგურდება, გულმოდგინედ, სისტემატურად ქრება ცხოვრებიდან; რომ ნაციონალური გრძნობისთვის ყველაზე ძვირფასი რამ, რაც ვერ გაანადგურა ძლევაგამოსილი ისლამის ძლიერმა მახვილმა, შესაძლებელია საუკუნოდ წარჩოცოს, ნება-ნება და თანდათან, მაგრამ ძირფესვიანად და სამუდამოდ ამოიძირკოს; რომ თავისი ძლიერი მფარველისადმი ქართველების ნაცადი ერთგულება შეურაცხყოფილია მასზე დაწესებული ზედამხედველობით და 60-ანი წლების პოლონური აჯანყების შემდეგ მულმივ ეჭვქვეშაა დაყენებული ცნობილი ბანაკის ყოვლადძლიერი რუსი პუბლიცისტების მიერ, რომელთა ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი ხელისუფლებ-

ის თვალში; რომ რუსული მთავრობა მთლიანად იზიარებს მათ შეხედულებებს და ამ შეხედულებათა მიხედვით ახორციელებს თავის ღონისძიებებს ცხოვრებაში; რომ ქართველების უმეტესობას ადგილობრივი მმართველობის ყველა სფეროში აძევებენ ასე თუ ისე გავლენიანი თანამდებობებიდან და სახარბიელო ადგილებს, ისიც ერთეულ და იშვიათ შემთხვევებში, მხოლოდ ჯარში აძლევენ; რომ საქართველოს მკვიდრთა საჭირობოროტო საკითხებისა და ინტერესების განხილვა-გადაწყვეტა იმ ადამიანთა ხელშია, რომელთაც საქართველოსთან არავითარი საერთო არა აქვთ და აქ მხოლოდ „ბედნიერებისა და ჩინების ხელში მოსაგდებად“ ჩადიან; რომ, თითქოს განგებ, საქართველო ივსება სამი მეოთხედი ნაყარნუყარი რუსი ბიუროკრატებით, რომლებთანაც ბრძოლის უნარი არ შესწევთ იმ პატიოსან და ნიჭიერ რუსებს, ამ წრეში შემთხვევით რომ ხვდებიან, როგორც ჯადოვი იუსოვების, ვიშნევსკების და ბელოვუბოვების კომპანიაში. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ 70-იანი წლების ბოლოს შეწყდა მეფისნაცვლის პოსტზე კავკასიელთა დანიშვნა, რომლებიც თუმცა გარუსების საერთო პოლიტიკას ემხრობოდნენ, მაგრამ გულწრფელად უყვარდათ ეს მშვენიერი ქვეყანა, უყვარდათ თუნდაც რომანტიკულად და, რა დასამალია, უფრო პლატონურად, ვიდრე საქმით – მაგრამ გაუპიროვნების – ნაციონალური სახის დაკარგვის – პოლიტიკას ისინი ისეთი ფორმებით ახორციელებდნენ, რომ ნაციონალურ სიამაყეს არ შეურაცხყოფდნენ ისე უხეშად და ათვალწუნებით, როგორც მოგვიანებით, საქართველოს წინააღმდეგ პუბლიცისტური გალაშქრების შემდეგ, რაის საბაბიც საქართველოს არ მიუცია და რაც ეჭვიანი გონების ახირებამ წარმოშვა, ყველა განაპირა უბნებში „პოლონურ ინტრიგას“ რომ ეძებდა და ჰპოვა კიდევ საქართველოში, სადაც „ინტრიგას“ არც გაუჭაჭანებია. თავადების ვორონცოვის, ბარიატინსკის და დ. მ. მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელები იცვლება დონდუკოვკორსაკოვის, გოლიცინის და გრაფინია ვორონცოვას – ფაქტიურად კავკასიის უკანასკნელის წინა ნაცვლის – სახელებით. რით ხიბლავდა ამ ადამიანებს საქართველო, რა უყვარდათ მათ აქ თავისი ძალაუფლების გარდა? დაე, მომავალმა ისტორიკოსმა უპასუხოს ამ კითხვას ზუსტად და მიუკერძოებლად. მე არ მინდა დაუსაბუთებლად ვისაუბრო, ამ სტატიის საბუთებით აჭრელება კი არ შემიძლია: მაშინ წიგნი რამდენიმე ტომად გაიზარდებოდა.

ამ ვითარებამ ნახევარსაუკუნოვანი დასვენებით მომაგრებული ქართველი საზოგადოების წინააღმდეგობა გამოიწვია. არც XIX საუკუნის პირველ ნახევარში დღემდე ქართული ლირა, მაგრამ მიუხედავად მთელი თავისი ელვარებისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა, მიუხედავად მთელი თავისი სილამაზისა და პოეტო-მაღალი ნიჭიერებისა, ქართულ პოეზიაში არ გამოსჭვიოდა საქართველოსთვის, მის გონებრივ საუნჯეთა და ცვა-შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, მისი არსისა და ისტორიული დანიშნულებისათვის შეგნებული, ძლიერი ბრძოლის სულსიკვეთება, რაც უკანასკნელი 50-60 წლების ქართულ ლიტერატურას ანასიათებდა. ეს იყო საქართველოსთვის ჭეშმარიტად ახალი ბრძოლა, ნამდვილი გაგრძელება წინა თაობათა ოცსაუკუნოვანი ბრძოლისა, ოღონდ, სხვა იარაღით. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე საქართველოს გონებრივმა და ლიტერატურულმა მოძრაობამ იშვიათი ძალით განამტკიცა ნაციონალური თვითშეგნება; წარმოაჩინა მაღალი დონის ლიტერატურული, სამხატვრო და არტისტული ძალები; შექმნა გავლენიანი და მტკიცე პუბლიცისტიკა; ისე განავითარა და გაამდიდრა ენა, რომ ვეღარ იცნობდით, თან ხალხური მეტყველებისთვის არ მოუწყვეტია - ხალხური მეტყველების გამომსახველობასა და ხატოვანებას მიუხადავად. წამოსწია პირველხარისხოვანი მნიშვნელობის უშიშარი და მედგარი მოღვაწენი. და სხვადასხვა პოლიტიკური აზრის, პარტიული მრწამსის, ასაკისა თუ პროფესიის, მაგრამ თავისი ქვეყნისა და მისი კულტურული ფასეულობებისადმი სიყვარულით გაერთიანებულმა ადამიანთა ამ პლედამ შეძლო, დაეცვა და შეენარჩუნებინა თავისი ეკლესია, ხელოვნება, მრეწველობა, მეურნეობა, თავისი მრავალწახნაგოვანი ცხოვრების ყველა დარგი, და ყოველივე ეს მოახერხა ძალიან მწირი მატერიალური საშუალებებით დიდი შინაპარტიული შეხლა-შემოხლის პირობებში და ყოველგვარი ქართული წამოწყებისადმი იმპერიული ხელისუფლების აშკარა მტრობის მიუხედავად, რომელიც ბოლო დრომდე, ომამდეც, კი გრძელდებოდა. ამასთან, საქართველო თავისი მოსახლეობის ოდენობის პროპორციულად თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა რუსეთის საერთო ცხოვრებაში, ჩინებულ მოღვაწეებს გამოჰყოფდა საერთო იმპერიულ საკანონმდებლო დაწესებულებებში, საერთო-რუსული

სამსახურებრივი, საზოგადოებრივი, სამეცნიერო, მხატვრული და ლიტერატურული ცხოვრების ყველა დარგში, ყველა თავისუფალ პროფესიაში, ყველაზე მრავალფეროვან საერთო-რუსულ წამოწყებებში; ხოლო სამ - 1877, 1904 და 1914 წწ. ომებში საქართველოს მიერ შეტანილმა წვლილმა აჩვენა, რამდენად უსაფუძვლო იყო ის პოლიტიკური ეჭვი, რომლითაც საქართველო, როგორც ერთობლივ დააჯილდოვეს რუსულმა ბიუროკრატია და მისმა ბარდებმა. ქართველი ახალგაზრდობით გადაჭედილი იყო რუსული უნივერსიტეტები და უმაღლესი სპეციალური სასწავლებლები; სწავლის პერიოდში მათ კავშირი არ გაუწყვეტიათ საქართველოსთან და მათი დიდი უმრავლესობა კურსის დამთავრების შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდა, თუმცა, თითქმის გადაწურული ჰქონდათ იმედი, რომ სამმართველო დაწესებულებებში მოეწყობოდნენ და თავის ცოდნას თავისი ქვეყნის სამსახურს მოახმარდნენ. ცოდნას კი დიდი გაჭირვებისა და მსხვერპლის ფასად იძენდნენ - ოჯახიდან გამოგზავნილი უკანასკნელი გროშებით; ამ გაჭირვებას მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც თავად გამოუცდია. საქართველოსთვის ბრძოლის მთელ ამ დიად საქმეში ქართველ ვაჟაკს მხარში ედგა ქართველი ქალი. ტყუილუბრალოდ არ უბრძოლია ქართველ ვაჟს კარს მომდგარი ჰარამხანისგან მის გადასარჩენად: ქართველმა ქალმა ქართველ ვაჟაკს თავისი წარსულითა და აწმყოთი მთლიანად მიაგო მისაგებელი.

ზოგადი კონტურებით შემოხაზული ეს საზოგადოებრივი მოძრაობა წმინდა ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ხასიათისაა და თავდაცვის ბუნებრივ აქტს წარმოადგენს, რაც ნიშანდობლივია ყოველივე ცოცხალისა და სიცოცხლისუნარიანისათვის. ამასთან, მოძრაობის ფორმები ისეთი ლეგალური და ლოიალური იყო, რომ ყველაზე მიზეზიანი მსაჯულიც კი ვერ შეძლებდა, ცოცხალი ორგანიზმის თავისთავადობის შესანარჩუნებლად ამ ბრძოლაში რაიმე ფაქტიური დანაშაული დაენახა. მაგრამ „სეპარატიზმში“ და დანაშაულების სუნი ჰაერში ტრიალებდა, იგი მკვდრდებოდა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფალთა ყოველგვარ დამოკიდებულებაში, ნაციონალური თვითგადარჩენისა და თვითდაცვის ყოველი ცალკეული გამოვლენის მიმართ, მსჭვალავდა მთავრობის ყველა დონისძიებას, გავლენას ახდენდა საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაზე, აფერხებდა მთელი რიგი პროგრესული რეფორმებ-

ის გატარებას საქართველოში; ამიტომაც, დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველო აღმოჩნდა ასეთი სურათის წინაშე: არც ერობა ჰქონდა, არც ეკლესიის ავტოკეფალია, არც უმაღლესი სასწავლებელი, არც ნაფიცი მსაჯულები ჰყავდა და არც არჩეული მომრიგებელი მოსამართლე, არც მიწები ჰქონდა გამიჯნული და არც ხიზანთა საკითხი ჰქონდა გადაწყვეტილი; ქართული ენაც არ ისწავლებოდა დაწყებით სკოლებში. ბოლო ხანებზე ზუსტად ვერ მოგახსენებთ, მაგრამ 70-იან წლებში თბილისის ერთადერთ გიმნაზიაში ოცდაათგაკვეთილიან კვირაში ქართულ ენას ეთმობოდა ერთი გაკვეთილი, ხოლო ლათინურს – ექვსი და ბერძნულს – ოთხი. ცნობილია, რომ დაწყებით სკოლებში მშობლიური ენის აღმოსაფხვრელად მეურვეების იანოვსკისა და ზავადსკის ინიციატივით შემოიღეს ე. წ. „თვალსაჩინო სწავლება“ სახალხო სასწავლებლის დირექტორის ლევიცკის სისტემით. რუსული სიტყვების ახსნისას მასწავლებლებს უფლება არ ჰქონდათ, ქართულად დაესახელებინათ მათი შესატყვისები; მაგალითად, ისინი მოსწავლეებს ვერ ეტყოდნენ, რომ „бык“ ეწოდება „ხარს“ და „дом“ ეწოდება „სახლს“, არამედ ხარიც და სახლიც უნდა ეჩვენებინათ. განყენებული ცნებების ახსნის დროსაც იმავე ხერხს იყენებდნენ. მასწავლებელი ქართულად კი არ გადაუთარგმნიდა მოსწავლეებს, ვთქვათ, ასეთ ფრაზას: „Курица снесла яйцо“, არამედ უნდა ჩაცუტულიყო, ქათამივით დაეწყო კაკანი, მერე ქვემოდან გამოეღო კვერცი, კლასისთვის ეჩვენებინა და დაესწავლებინა მოყვანილი ფრაზა! ეს ფაქტი შეიძლება დოკუმენტურადაც დამტკიცდეს. თუ შეიძლება სხვა ერისადმი სიძულვილი ამ... სასწავლო ფარსზე შორს წავიდეს?! საქართველომ გაუძლო ყოველივე ამას, თავი გაართვა, მოერია და არა თუ რაიმე დააკლო თავის სულიერ საუნჯეს, არამედ უფრო გაამდიდრა და განამტკიცა თავისი ეროვნული კულტურული ძალები. და ამას მიადრწია ამბოხებებისა და აჯანყებების გარეშე, ლოიალურად ასრულებდა ყველა სახის საერთო იმპერიულ ვალდებულებებს, დაწყებული სამხედროთი.

პირველი ვითარება მთლიანად ძვეს ნაციონალურ-პოლიტიკურ სიბრტყეში და, როგორც ვნახეთ, საქართველომ იგი დაძლია სულიერი დაძაბულობის გზით, კატაკლიზმებისა და მწვავე გამოცვ-

ლების გარეშე. რაც შეეხება მეორე ვითარებას, სადამღევ საქართველო გაერთიანების პირველმა 60-70-მა წლებმა მიიყვანა, იგი სხვა ხასიათისა – მოკლებულია უწინდელ ნაციონალურ ელფერს და თანამდევ შედეგებზე სხვაა.

2. სტატიის დასაწყისში აღვნიშნე, რომ ქართულ ელემენტს თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია საპროტესტო-გამათავისუფლებელი ხასიათის საერთო-რუსულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოძრაობაში, XIX საუკუნის დასაწყისში რომ იშვია და ჩაცხრა იმპ. ალექსანდრე II-ის რეფორმებით. რეფორმებმა მთლიანად თუ ნაწილობრივ (ამაზე ვერ ვიმსჯელებთ) ქვეყანას მოაშორა ყველაზე უფრო მომწიფებული წყულები: ბატონყმური მონობა, უგვანო სასამართლო და რეკრუტობა. მაგრამ, ერთი შეხედვით, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ამ რეფორმებმა ცოტა რამ თუ შეცვალა საქართველოს ცხოვრებაში უფლებრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით და ამას თავისი მრავალგვარი მიზეზი აქვს, რომლებზეც ვიმსჯელებთ, თუმცა, რასაკვირველია, არა ისე სრულყოფილად და დასაბუთებულად, როგორც ამ მნიშვნელოვან მიზეზთა დასახასიათებლად საჭირო; სწორედ ამ მიზეზებმა, განსხვავებით საუკუნის პირველი ნახევრისგან, გამოიწვია ქართველი ახალგაზრდობის თითქმის მასიური თანადგომა არა თუ ოპოზიციური, არამედ რევოლუციური რუსეთისადმი და თითქმის მასიური ჩაბმა საერთო-რუსულ პოლიტიკურ მოძრაობაში. აქ კვლავ უნდა ჩაბმა საერთო-რუსულ პოლიტიკურ მოძრაობაში. აქ კვლავ უნდა გავიმეორო – ეს სტატია რუსულ-ქართული ურთიერთდამოკიდებულების საკითხს მხოლოდ ზოგად კონტურებში წარმოადგენს, რადგან ამ გადამწყვეტი მნიშვნელობის მომენტში გაჩუმება არ შეიძლება; ეს მომენტი კი მბრძანებლურად მოითხოვს არა იმდენად დასაბუთებულ მიდგომას ფაქტებისადმი, რამდენადაც ამა თუ იმ ვითარების ამსახველ ფაქტთა დაჯგუფების კონსტატირებას; და, რაც მთავარია, მომენტი არ იცდის.

ა) საქართველოში ბატონყმობის გაუქმებას წოდებთა შორის ურთიერთობაში ისეთი მკვეთრი ცვლილებები არ მოჰყოლია, როგორც რუსეთში, ვინაიდან, ჯერ ერთი, ამაზე ზემოთაც მივუთითეთ, ბატონყმური ურთიერთობა საქართველოში სხვაგვარი იყო, ვიდრე რუსეთში – ქართველი ბატონები და გლეხები რუსებზე გაცილებით ნაკლებად იყვნენ ერთმანეთისაგან გამოყოფილი, მეორეც, მცი-

დავინახავთ, ქართულ საზოგადოებაში უბრალოდ არ არსებობდა. ნანატრი განთავისუფლება გარდუვალი გახდა, ხორცი შეესხა, მაგრამ ისეთი ფორმით განხორციელდა, რომ რუსეთის ყველა კუთხეში მან ერთი და იგივე დადებითი და უარყოფითი შედეგები გამოიღო. დადებითზე არაფერს ვიტყვით, რადგან ბატონყმობა არსად არ უნდა არსებულყოფიყო და არც ჩასახულიყო - იგი აღმდგომი აღდგეს კაცობრიობის სინდისს. უარყოფითი შედეგებიც კარგადაა ცნობილი და ამიტომ მათზე ლაპარაკი საჭირო არ არის. რა თქმა უნდა, განთავისუფლებას იგივე შედეგები მოჰყვა საქართველოშიც, ოღონდ დადებითი აქ, როგორც დავინახეთ, ნაკლებად რელიეფური იყო, უარყოფითი კი, როგორც აწი დავინახავთ, - უფრო არახელსაყრელი: ამ პლიუს-მინუსის კვალიფიკაცია ნაციონალურ-ისტორიულ სიბრტყეში ძვეს. რაც მთავარია, აშკარა იყო, დიდმა რეფორმამ ორივე წოდება იმ ზომამდე დამოკიდებული გახადა მთავრობის მეურვეობაზე, რომ მებატონეცა და ყმაც ყოველმხრივ დამორჩილებულ და გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა; ამდენად, რეფორმა საქართველოში ასიმეტრიისა და გაუპიროვნების ნაღვლი იარაღად იქცა და ქართველი გლეხი ქართველი მემამულისგან რომ გაათავისუფლა, მთელი ერი ორჯერ მეტად დაიძინა და ყმად გაიხადა. მართლაც, თუ რეფორმამდე ქართველი მემამულე გლეხთა მუქი შრომის წყალობით მეტად თუ ნაკლებად მატერიალურად დამოუკიდებელი იყო, რეფორმის შემდეგ საქართველოს „პრივილეგირებული“ კლასების წარმომადგენელი, ისევე როგორც რუსეთისა, არსებულ პირობებში იძულებული იყვნენ, „საშოვარზე“ გასულიყვნენ; ოღონდ, რაკი რუსები საამისოდ მშობლიურ, ჩვეულ გარემოს არ ტოვებდნენ, არც ვნის შეცვლა უნდებოდათ და არც ნაციონალურ იერსახეს კარგავდნენ; ქართველი მემამულის ერთადერთი საშოვარი განთავისუფლების ეპოქაში იყო რუსული სამსახური, სხვა სამსახური ამიერკავკასიაში არ არსებობდა. ეს სამსახური კი, გინდა სამოქალაქო, გინდაც სამხედრო, ყოველმხრივ რუსიფიკაციას მოითხოვდა; ქართველი ჩინოვიკიც, ოფიცერიც, ექიმიც და ადვოკატიც... შექმნილი პირობების გამო მშობლიურ ნიადაგს უნებურად სწყდებოდნენ მთლიანად თუ არა, მთელი თავისი არსების უდიდესი ნაწილით. თუ სამსახურს მიატოვებდა, „საშოვარი“ უკვე საქართველოს ფარგლებს გარეთ, რუსეთში უნდა ეძებნა.

გლეხური მოსახლეობისათვის ასეთი პირობები კვალიფიკირებოდა: პიროვნული უფლებების დაცვა-შენარჩუნებისას გლეხი პირისპირ უნდა წარდგომოდა უამრავ ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფალთ; რეფორმამდე კი მას მემამულე მფარველობდა და პირადი ჰონორითა და პატრონის პატრიარქალური გრძნობით იცავდა ჩინოვიკური სასჯელისგან; ამით იგი იცავდა, რა თქმა უნდა, თავის ინტერესებსაც - საქართველოში ხომ მსახურის შეურაცხყოფა-შევიწროება ოდითგანვე ბატონის შეურაცხყოფა-შევიწროებას ნიშნავდა; ამის გარდაც, ბატონი გლეხს რუსულ სასამართლოსა თუ სხვა ინსტანციაში თანატომელისადმი თანაგრძნობის გამოც გამოეჭომაგებოდა. რეფორმის შედეგად კი გლეხმა თავისუფლება რომ მიიღო, მემამულის სახით დაკარგა ბუნებრივი დამცველი და ქომაგი, უფრო მეტი, მემამულე ახლა გლეხის მოწინააღმდეგე მხარეს აღმოჩნდა - გლეხს მასთან, როგორც მიწათმფლობელთან, სიგელ-გუჯრებით უნდა დაემყარებინა ურთიერთობა, მიწები უნდა გაემიჯნათ ერთმანეთისგან და ა. შ. ამრიგად, ქართველი გლეხი მთლიანად ჩავარდა რუს ხელისუფალთა ხელში, ენითაც და ფსიქიკითაც უცხოთა ხელში და ძალაუფლებით მათ უნდა მიმსგავსებოდა, შერწყმოდა და ასიმილირება განეცადა თავისი ყოფილი ბატონივით, თუმცა, რასაკვირველია, გაცილებით ნაკლებად და სუსტად. მაშ ასე, „დიდი ჩაჭვის“ გაწყვეტით განხორციელდა თავისუფლების დიადი პრინციპი, მაგრამ ერთმანეთისგან გათიშულ ძალთა უფლებრივ-სამართლებრივი მდგომარეობა, ბუნებრივია, იმდენადვე დასუსტდა, რამდენადაც განმტკიცდა ცენტრალიზაციის იდეა და მეტროპოლიის ძალაუფლება დაქვემდებარებული განაპირა მხარეებისადმი. დალოცვილი რეფორმა გამოდგა ნაციონალურ ერთიანობაში შეჭრილი სოლი.

ბ) სასამართლო რეფორმა საქართველოსთვის ყოველმხრივ შეკვეცილი იყო. საჯარო, ღია სასამართლო კი დაუშვეს, მაგრამ საზოგადოებრივი ელემენტი მასში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა: არ ჰყავდათ ნაფიცი მსაჯულნი, არჩეული მამრიგებელი მოსამართლეები, არ ჰქონდათ თბილისის ოლქის სასამართლო პალატის ნაფიცი ვეჟილთა საბჭოც კი (მის როლს თავად პალატა ასრულებდა). თუმცა, სწორედ საქართველოსთვის სასამართლო პროცედურაში ადგილობრივი საზოგადოებრივი ელემენტის შეყვანა

ყველაზე არსებითი მოთხოვნა იყო, რადგან რუს უნივერსიტეტა და სამართალმცოდნეთა შორის ყველაზე განათლებული მოსამართლეც კი სისხლის სამართლის საქმეებში დანაშაულის შეფასებისა და სასჯელის მიყენებისას ვერ გაემიჯნებოდა, თავს ვერ დააღწევდა თავის ფსიქოლოგიას; საქმე ის კი არ გახლდათ, ვინ იყო მართალი – მოსამართლე თავის დასკვნებში თუ მსჯავრდებული და მისი ახლობლები განაჩენის კრიტიკაში; საქმე ის იყო, რომ წვეროსანი, შაგვრემანი, შავთვალა, ტემბერამენტიანი ბრალდებულის ერთი დანახვაც კი ისე ზემოქმედებდა მოსამართლეზე, როგორც ნაცრისფერთვალა ნიკაპგაპარსული მოსამართლე ბრალდებულზე, ხოლო, თუ მოსამართლეს უღვაშებიც მოპარსული ექნებოდა, ეს ისეთი თავზარდამცემი და გამოგონებელი იყო ვინმე ცხინვალელი შაქროსთვის თუ ყანჩავეთელი ლუარსაბისთვის, რომ ბრალდებულ-მოსამართლეს ერთმანეთის არც ლოგია, არც ენა აღარ ესმოდათ, მათი სულები უცხო იყო ერთმანეთისთვის. 1870-იან წლებში, თუ არ ვცდები, ოზურგეთში მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა ვინმე პეფი, პატიოსანი და კეთილსინდისიერი აღამიანი, მანამდე ერთი-ორი წელი თბილისში რომ ცხოვრობდა და თბილისის გიმნაზიაში ისტორიას ასწავლიდა; ოზურგეთში ორი თვის ჩასული იყო, დარაჯს რომ უბრძანა, უკლებლივ ყველა ქალადი, საქმეები და კანონები ქუჩაში, მისი საკნის წინ გაეტანა, და თავისი საკუთარი ხელით დაწვა ისინი; ამან ოზურგეთელებისა და მათი მეზობლების უსაზღვრო აღტაცება გამოიწვია. მოსამართლე კი დაუყოვნებლივ გადააყენეს, სასამართლოში მისცეს და, მგონი, შეშლილადაც გამოაცხადეს.

სასამართლოში ბრალდებულის წარმოთქმულ უკანასკნელ სიტყვას თარგმნიდნენ ადგილობრივი წარმოშობის მდივან-მწერლები, რომლებიც უცოდინარობისა თუ არაკეთილსინდისიერების გამო უზომოდ ტყუოდნენ და თარგმანს ისე ამახინჯებდნენ, ვეღარ იცნობდი. თავად ვესწრებოდი ხარების გატაცების გამო ამტყდარ ჩხუბში ორი თათრის მკვლელობის გარჩევას; ერთ-ერთმა ბრალდებულმა ქართველმა განაცხადა, რომ თავი დამნაშავედ არ მიაჩნდა – თურმე მამამისი დამუქრებია: სამწყესად ჩაბარებულ ხარებს თუ არ დაბარუნებ, მოგკლავო. მთარგმნელმა ჩიქორთული რუსულით ასე თარგმნა: „ხარებისათვის მზად ვარ, ღვიძლი მამაც კი მოვკლაო“.

სასამართლო თანამდებობაზე განწესებულმა ერთ-ერთმა კანდიდატმა, მეტად სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცმა, ამ ბრალდებულის ადვოკატმა მხოლოდ ერთი ქართული სიტყვა იცოდა – „მაკოცე“. თარგმანში მან სადავო ვერაფერი იაზრა, ცხადია, არ გაუბროტესტებია და არც სასამართლო დაუქვებულა რაიმეში. მოსამართლენი სათათბიროდ გავიდნენ. საბედნიეროდ, პროკურორი მიცნობდა ჯერ კიდევ გიმნაზიელს; მივვარდი მას და ავუხსენი საქმის ვითარება. აღარ მახსოვს, რა იღონა, საქმე კი ბრალდებულისთვის შედარებით კეთილად დასრულდა – ციხე აკმარეს. შემდეგ პროკურორი მამჩემს ეუბნებოდა, რომ ბრალდებულს ციხეში ელოდაო სწორედ საბოლოო სიტყვის გამო. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ცხოვრების ზეწოლით ვერაცდენილი და სიღუბჭირის გამო ჩადენილი დანაშაულებრივი აქტის ბრალდებულ შერაცხვა, თუნდაც კანონი ზედმიწევნით ყოფილიყო დაცული და ზნეობრივი მოთხოვნებიანიც გათვალისწინებული, თუკი საზოგადოებრივი ელემენტი ნაფიც მსაჯულთა სახით საქმის გარჩევაში არ მონაწილეობდა, ხალხს სწორად არ მიაჩნდა და მასიურ უნდობლობას უცხადებდა ყველაზე სამართლიან განაჩენსაც კი. ეს, რა თქმა უნდა, ძირშივე ლახავდა სასამართლოსა და თავად კანონის ავტორიტეტსაც.

სამოქალაქო სასამართლოში უპირველესი როლი ეკავა სამიჯნაო საქმეებს. ამ სტრიქონების წამკითხველი ყველა ქართველისათვის სამიჯნაო დავის ერთი ხსენებაც კი საკმარისია, და საუბრის გაგრძელება აღარ დამჭირდებოდა იმაზე, თუ სამიჯნაო პროცესებმა – 1. როგორ დააქცია და გააწამა საქართველო, 2. როგორ შეურყია საბოლოოდ ხალხს ნდობა მართლმსაჯულებისადმი, 3. როგორ აქცია დავაქრობა-მოდაგეობა საყვარელ სპორტად და ხშირად – სარფიან პროფესიადაც. შევეცდები არ აქართველთათვის მოვიყვანო რამდენიმე ფაქტი, კვლავაც მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად. თითქმის არ ყოფილა ისეთი სამიჯნაო პროცესი, სისხლის სამართლის დანაშაული რომ არ მოპყოლოდა. თბილისისა თუ ქუთაისის საოლქო სასამართლოების სამიჯნაო განყოფილება სისხლის სამართლის განყოფილებისათვის საქმის მიმწოდებელი იყო და სამიჯნაო განყოფილების პროცესთა ნახევარი მაინც საბოლოოდ სისხლის სამართლის განყოფილებაში წყდებოდა. ამის მიზეზად

ყბადღებულ „კავკასიურ ტემპერამენტს“ სულ ტყუილუბრალოდ დავასახელებდით. ეს მხოლოდ ტემპერამენტის ბრალი რომ ყოფილიყო, მაშინ ვგრეთ წოდებული „რომანტიკული“ დანაშაულობანი რაოდენობით უსათუოდ გადააჭარბებდა „სამიჯნაოებს“. ისე კი, უცდომლად შეიძლება მათ შორის ასეთი პროცენტული შეფარდება დავადგინოთ: ერთ რომანტიკულ დანაშაულზე მოდიოდა ორმოცდაათი სამიჯნაო. ოჯახები, რომელთა წევრებიც სამიჯნაო გარჩევების დროს ერთმანეთს ანდა ნათესავ-მეზობლებს არ კლავდნენ, არ ასახიჩრებდნენ, ისეთივე იშვიათობა იყო, როგორც თეთრი ყვავი. ურთიერთკეთილმეზობლურად მცხოვრები სოფლები, როგორც კი მიჯნის გავლენის უწყება მიუვიდოდათ, ადგილობრივ განყოფილებაში „საომარ მდგომარეობაში“ ცხადდებოდნენ – და ხდებოდა ყოველივე ის, რაც ომებში ხდება: მოქმედ ძალთა მობილიზაცია, სახლ-კარის გადაწვა, ნათესავების მოხრება, საქონლის რეკვიზიცია და დიდძალი დანაკარგები დაჭრილთა თუ მოკლულთა სახით. გადარჩენილთათვის კი საომარ მოქმედებათა ეპილოგი ასეთი იყო: სანამ მათი საქმეები იმავე სასამართლოში, ოღონდ სისხლის სამართლის განყოფილებაში ირჩეოდა, ისინი წინასწარ პატიმრობას იხდიდნენ თბილისის მეტეხის ციხეში, ხოლო განაჩენის გამოტანის შემდეგ ნაკლებად თუ მეტად მოშორებულ ადგილებში იგზავნებოდნენ. სამიჯნაო პროცესები, ერთი თაობა შემდგომ თაობას რომ გადასცემდა ხოლმე, ზოგჯერ 50-60 წელი გრძელდებოდა და რეფორმამდელ სასამართლოთა და პალატათა კანცელარიებიდან საოლქო სასამართლოთა სამიჯნაო განყოფილებებში და უფრო ზედა ინსტანციებშიც გადადიოდა. კუშკის შემდეგ, 80-იანი წლების ბოლოს, ინგლისთან ომის საფრთხე რომ მოახლოვდა და მწიფდებოდა ინგლისელთა მიერ საქართველოს დაკავების შესაძლებლობა, მთელ საქართველოში ყველას პირზე ეკერა ერთ-ერთი „სამიჯნაო“ მსხვერპლის, თავად კ.მ.ო.-ს ოხუნჯობა: „ბოლოს და ბოლოს, ამ ჩემს დეიდებთან ინგლისელები ხომ მაინც გამყრიანო!“ ბ. მ. თავადების ს. თავადებთან მიწის გაყოფის პროცესი გრძელდებოდა 80 წელზე მეტ ხანს; 50-იან წლებში მოკლულ იქნა თავადი ა. ი. ს. ცოლთან, თავადის ასულ ბ. მ.-სთან და სამ შვილთან ერთად; ამავე პროცესის დროს 70-იან წლებში თავადმა ბ. მ.-მ საფანტის გასროლით დააბრმავა სხვა თავადი ბ. მ.; 80-იან წლებში კი იმავე

პროცესზე თვით სასამართლოს შენობაში 22 წლის თავადმა ს.-მ დაჭრა 75 წლის თავადი ბ. ნ. ამ უკანასკნელი საქმის უკვე სისხლის სამართლის განყოფილებაში გარჩევისას გამოირკვა, რომ მოკვლის მცდელობა გამოიწვია სამიჯნაო განყოფილების სხდომაზე დაზარალებულის შეურაცხყოფელმა საქციელმა: თურმე, სამიჯნაო დადგენილების ასლი რომ მიუღია, ამას და გავლენიან თავად ბ. მ.-ს უკანალი დარბაზისათვის მიუშვევრია და მეტად უხამსად მოქცევია სასამართლოს მიერ მისთვის ჩაბარებულ აქტს. თავადი ს. აფეთქდა, რადგან ამ საქციელში დაინახა თავისი სრული უღონობა, მოწინააღმდეგეს შებრძოლებოდა კანონიერი გზით. თავად ბ. მ.-ს სიცოცხლის ხელყოფის მცდელობაში თავად ს.-ს დანაშაულის გამოძიება რომ მიმდინარეობდა, აღმოჩნდა, თითქოს სამიჯნაო განყოფილების სხდომის სამი წევრიდან ვერც ერთმა ვერ დაინახა, რა უყო თავადმა ბ. მ.-მ ქალაქს, თავმჯდომარე ზელიდან ხელში რომ გადასცა. ფაქტი დადგინდა მხოლოდ სამიჯნაო სასამართლოს დარბაზში შემთხვევით შესული პიროვნების – თბილისის სასამართლო პალატის წევრის, ერთ-ერთი უკეთილშობილესი სასამართლო მოღვაწის ი. ი. რ.-ის ჩვენებით, რაც სამდივნოსა და დამსწრე საზოგადოების წვრილფეხობამაც დაადასტურა. დამთრგუნველი იყო სამიჯნაო სასამართლოზე ამიერკავკასიის აღმინისტრაციული ხელისუფლების გავლენა. საქმარისია, გავისხენოთ ვახტურებულის საქმე მსხვილ საუფლისწულო მამულთან მიმდებარე თავად ტ.-ს ტყიან აგარაკთა შესახებ მთელი თავისი ტრაგიკული შედეგებით.

გ) ბოლოს, მესამე რეფორმა, სამხედრო რეფორმა, თხუთმეტ წელზე მეტია სრულებით არ შეხებია საქართველოს: ქართველები საერთო სამხედრო ბეგარას არ იხდიდნენ, ისინი არ იყვნენ სამხედრო ვალდებულნი. რამდენად შეესაბამებოდა ასეთი უგულვებლყოფა სახელმწიფოს ინტერესებს, ამას აქ არ განვსჯით. მაგრამ, უეჭვლოდ, სამხედრო რეფორმის დაყოვნება საქართველოში ხალხის ლოიალობისადმი უნდობლობის პირდაპირი გამონატრულება და იმ საერთო პოლიტიკის შედეგი იყო, აშკარად რომ ვლინდებოდა ქართველთა ნაციონალურ დევნაში ზემოთ მითითებული გავლენიანი პრესის ოფიციალური ნაწილის მეშვეობით. ქართველი ხალხის მთელი მასისადმი ასეთი უნდობლობა არ შეიძენოდა XIX საუკუნის პირველ

ნახევარში. ამ ეპოქის ქართველი თავადაზნაურობა უკლებლივ მსახურობდა რუსულ არმიაში, ხოლო გლეხებს მთავრობა სამხედრო ბეგარას არ აკისრებდა, არ იწვევდა რეკრუტინაში და მათგან მხოლოდ პოლიციის კადრებს ქმნიდა, საქირობებისამებრ სამხედრო სამსახურსაც რომ ეწეოდნენ და საგანგებო დავალებებსაც ასრულებდნენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ღონისძიება საკმაოდ გონივრული პოლიტიკური და, თქვენ წარმოიდგინეთ, არაჩვეულებრივად ჰუმანური აქტიც იყო იმ ეპოქაში, ჰუმანურობას დიდად რომ არ დაგიდევდა. მართლაც, ქართველები რომ საერთო არმიაში ჩაერიცხათ და მზიური სამშობლოდან ჩრდილოეთ რუსეთში გადაეყვანათ, მკაცრი კლიმატისა და სალდათობის მაშინდელ პირობებში უეჭველად სრული განადგურება ელოდათ. მაგრამ 1887 წლიდან კი სამხედრო ბეგარა ამიერკავკასიის მთელ მოსახლეობაზე რომ გაფრცოვდა, უწინდელი დამოკიდებულება შეიცვალა. აშკარაა, სამწლიანი სამხედრო სამსახური ისე დამლუბველად არ მიიჩნეის ქართული ორგანიზმისთვის, როგორც ოცდახუთწლიანი. ძალიან მინდა მჭეროდეს, რომ საქართველოზე ადამიანური ზრუნვის ეს მოტივი იყო შეცვლილი შეხედულებისა და დამოკიდებულების საფუძველი. ოღონდ, ცივი გონებით თუ განვსჯით, ამ ვარაუდის ალბათობა ბევრი რამით გაბათილდება. ექვმიტანილ ტომთან დამოკიდებულების ჰუმანური მოტივი ნულამდე იყო დაყვანილი, რასაც მოწმობს რუსული არწივისადმი საქართველოს ერთგულების მიმართ ნათლად გამოკვეთილი უნდობლობა: ყველა ახალწვეული ქართველი იგზავნებოდა პეტერბურგის, მოსკოვის და რუსეთის სხვა ჩრდილოეთ ოლქების პოლკებში და არც ერთი მათგანი – არა თუ ამიერკავკასიის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მრავალრიცხოვან პოლკებშიც კი. იაროსლავლი და კოსტრომა, პირიქით, სამხრეთელებით იყო გადავსებული, რომლებიც ვერ უძლებდნენ იქაურ კლიმატს, ვერ იტანდნენ იქაურ საკვებს და იტანჯებოდნენ.

აი, დამთავრდა საესებით ობიექტური, ოღონდ უკიდურესად შეკუმშული ნარკვევი იმაზე, თუ რა ბედი ეწია საქართველოში დიდ რეფორმებს და ამ რეფორმებით როგორი დავგიანებული პასუხი გასცა რუსეთმა XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

იგივე ბედი ეწია იმავე ეპოქის ასევე მნიშვნელოვან, მაგრამ ნა-

კლებად ძირეულ გარდაქმნასა და სიახლეს: საერობო დებულებას, მეცნიერებას, ადრე უფრო შეზღუდული რომ იყო, სახალხო განათლებას, ბოლოს – პრესის თავისუფლების შესახებ არსებითად მოჩვენებით, მაგრამ საუკუნის პირველ ნახევართან შედარებით უადრესად გაუმჯობესებულ კანონმდებლობას. როგორც უკვე მივუთითეთ, საქართველოში საერობო დებულებას არ ჩამოუღწევია და არც უმაღლესი სასწავლებლები გაჩნდილა, სახალხო განათლება კი ისეთ მასწავლებელთა ხელში იყო, კვერცხის დებას თვალსაჩინოდ რომ ასწავლიდნენ მოსწავლეებს გარუსების მიზნით; რაც შეეხება პრესის თავისუფლებას... ეტყობა, პრესა რუსეთში ისეთი ხილია, რომლის შესაფერი კლიმატი არც კივშია, არც ტაშკენტში, არც მოსკოვში, არც თბილისში და არც არსად ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, რა რეჟიმიც უნდა ბატონობდეს აქ. ასე რომ, აქ პრესის თავისუფლება სახსენებელიც არ არის. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ საქართველო აქაც მოტყუებული დარჩა, რადგან ამიერკავკასიის ეგრეთ წოდებულ საცენზურო კომიტეტს უფლება ჰქონდა, გაუშქმებინა მისი უშუალო უფროსის – ბეჭდვით საქმეთა პეტერბურგის საერთო-იმპერიული მთავარი სამმართველოს – ნებართვა-გადაწყვეტილება და ეს ისეთ ჩინოვნიკურ „ავტონომიამდე“ დადიოდა, რომ პრესის თავისუფლება, „შეღრინის გამოთქმას თუ ვიხმართ, თბილისში „არც გაფაჩუნებულა“. თუმცა მუდამ ასე იყო და ახლაც ასეა (იმედი ვიქონიოთ, რომ ასე არ იქნება მარადის და უკუნითი უკუნისამდე): რაც უფრო დაქვემდებარებულია ინსტანცია, მით უფრო ძლიერია მისი კომპეტენცია. ეს პრინციპი მტკიცედ დაადგინეს ყველა ჯურის ერთეულმა თუ კოლექტიურმა ჰარუნ-ალ-რაშიდებმა.

ჩვენ მიერ განსახილველი მეორე ვითარება, სადამდეც საქართველო რუსეთთან შეერთების მე-60 წლისთავზე მივიდა, ყოველი ზემოთქმულის შემდეგ ასეთ კონტურებში წარმოგვიდგება: საქართველომ, როგორც უკვე იმპერიის შემადგენელმა ნაწილმა და არა თავისთავადმა ერმა (რომელთან რუსეთის დამოკიდებულებაც პირველი ვითარების ანალიზისას გავაშუქეთ), რუსეთთან შეერთების პირველ პერიოდში ასწილ იწვინა სამოქალაქო წეს-ცხოვრების ის ჭირი და უბედურება, რაც მძიმედ აწვა მთელ რუსეთს. ერთობის ცნება 1801 წლის აქტის შემდეგ უმაღლესი გადაიქცა გაბატონების

ცნებად, რაც იოანე III-დან მოყოლებული რუსული პოლიტიკის ტრადიცია იყო. სწორედ ამის გამო დააწვა განსაკუთრებული ძალით საქართველოს ხსენებული საერთო რუსული უბედურება და სიღუბ-ჭირე. ეს, ასე ვთქვათ, კვალიფიცირდება იმით, რომ: საქართველო იყო განაპირა მხარე; აღმოსავლეთთან რუსეთის გაუთავებელ ომებში ის ასრულებდა ავანგარდის როლს; საქართველოში იგზავნებოდნენ „ყოველგვარი უფლებით აღჭურვილი“ უგვანო ჩინო-ვნიკები, თავისი სურვილისამებრ რომ ექცეოდნენ „არარუსებსა“ და „ადგილობრივებს“; სპარსეთისა და თურქეთის სიმხეცისაგან თავისი უდავო მხსნელისადმი მადლიერების გამო საქართველო ყველაფერს ითმენდა და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში გაუთვითცნობიერებელი, რუსეთს, როგორც ქვეყანას, რუსეთის მთავრობასთან აიგივებდა; ბოლოს, იგი მოწყვეტილი იყო რუსე-თის ოპოზიციურ აზრს, და რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტად ვეროპისას. იმპერატორ ალექსანდრე II-ის რეფორმები კი საქარ-თველოში ჩამოდიოდა ან შეკვეცილი, ან დამახინჯებული, ან ისეთი სახით, ქართულ ბუნებას რომ ვერ მოერგებოდა, ანდა სულაც არ ჩამოდიოდა.

მოთმინება კი ილევოდა: ცხოვრება აუტანელი იყო. ჩვენ ვნახეთ, რით უპასუხა საქართველომ, როგორც ერთმა, გარუსების პოლიტი-კით შექმნილ პირველ ვითარებას. უპასუხა იმით, რომ სრულიად კანონზომიერი გზით განამტკიცა თავისი ხალხური, ნაციონალური სახე და სულიერი ძალები. ახლა კი გავარკვიოთ, თუ საქართველომ, როგორც რუსულმა პროვინციამ და რუსული საზოგადოების წევრმა, რით უპასუხა ქვეყნისა და მთავრობის საქმეებში 60-წლიანი ჩაუ-რევლობის შემდეგ შექმნილ მეორე ვითარებას.

საქართველო უკვე ისე აღარ იყო მოწყვეტილი გონივრული რუსული მოძრაობის ცენტრებს და ევროპულ ცხოვრებას; თანდა-თან ხდებოდა მათთან დაახლოება: თავისუფალი აზრი მოსკოვიდან და პეტერბურგიდან კავკასიის ქედს იქით „ბაცილასავით“ გადა-ჰქონდა ახალგაზრდობას, მოზადრაგეებსაც კი, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ; გაუმჯობესდა რუსეთთან მიმოსვლა და კავშირგაბმულო-ბის მატერიალური პირობები - შეაკეთეს საფოსტო გზები, გაიყვ-ანეს რკინიგზა, დაშოშმინდა მთა და ყაბარდო. საქართველოში გავრცელებული მძლავრი რუსული ორიგინალური და თარგმნილი

ლიტერატურა ნოყიერ ნიადაგზე ხვდებოდა. რუსული წიგნით შე-მოტანილი 40-იანი და 60-იანი წლების ლიბერალური იდეები უშუ-ალოდ თუ ირიბად ასაზრდოებდა ქართულ ცხოვრებას, სულ უფრო და უფრო ახდენდა მის ასიმილირებას კოსმოპოლიტურ კულტურ-ასთან. რუსულ უნივერსიტეტებში მოსწავლე ახალგაზრდობას სამ-შობლოში შექჰონდა ახალი წარმოდგენები საზოგადოებისა და მთავრობის ურთიერთდამოკიდებულებაზე, მათ შორის არსებულ ყრუ ბრძოლაზე, ქართველ ხალხს აცნობდა ახალ მისწრაფებებს, საუკეთესო რუს ადამიანთა სასოებას, განმათავისუფლებელი ლო-ზუნგების დასავლეთ ევროპულ ევოლუციას. როგორც მკითხველი შენიშნავდა, შეძლებისდაგვარად თავს ვარიდებ გვარების დასახ-ველებას, მაგრამ თავად ილია ჭავჭავაძესა და თავად აკაკი წერე-თელს, ღიდ ეროვნულ-კულტურულ მოღვაწეებსა და მწერლებს, გვერდს ვერ აფუვლი. მათ ჩემს ადრეულ ბავშვობაში ვიცნობდი - ახალგაზრდებს, ეს-ესაა რუსეთის უნივერსიტეტურსდამთავრე-ბულთ და სამშობლოში ახალდაბრუნებულთ. ორივენი მაშინ, 60-იანი წლების მეორე ნახევარში, იყვნენ სხვადასხვა მსოფლმხედ-ველობისა და სხვადასხვა მომავლის მქონე მრავალრიცხოვანი ქართველი ახალგაზრდობის საერთო ტიპის ყველაზე ბრწყინვალე და მაღალნიჭიერი წარმომადგენლები. მათ ძველ ქართულ საზოგა-დობრივ ყოფაში სიანლის ნაკადი შეიტანეს და ამავე დროს სიყ-ვარულით ეკიდებოდნენ საუკეთესო ტრადიციებს, უფროხილდე-ბოდნენ მამხაბაპეულ ნაანდერძებს, სათუთად იცავდნენ და ინარ-ჩუნებდნენ ყოფით და ისტორიულ ნიშან-თვისებებს, ამასთან ერ-თად, სახეს უცვლიდნენ და სრულყოფდნენ მათ იდეურ არსს. ძალიან მინდოდა, დაწვრილებით ამესახა პატრიარქალურ-ყოფით საწყის-თა და პროგრესულ მისწრაფებათა ამ ნათელი შერიგების პერიო-დი, შერიგებისა, საქართველოს მამები და შვილები რომ გააერ-თიანა და ისე მტკიცეულად არ ჩაუვლია, როგორც ამ დაზავება-შეთანხმების მცდელობამ ჩაიარა რუსეთში. მაგრამ ამ სასიხარუ-ლო მოვლენაზე რომ შევჩერდე, სტატიის პირდაპირ ამოცანას ძალიან უნდა გადავუხვიო.

ფაქტია, მაღალი კულტურის მქონე ქართველი ახალგაზრდობა გასული საუკუნის 60-იან წლებში კარგად შეეთვისა საერთო-რუსულ კულტურულ ცხოვრებას, მაგრამ ჩაფიქრებული გარუსება გამარუსე-